აკაკი თოფურიას პირადი ფონდი


287 1 152

287 1 152

მუდმივად შესანახი
ПОСТОЯННОГО ХРАНЕНИЯ

დასკანირებულია 20
16.01.2021


13.

16/IX, 1987 №74

## სახალხო განათლება

სახელმძღვანელო გზის მანათობელი ჩირაღდანია სწავლების და სწავლის ძნელსა და რთულ გზაზე. მასში აისახება, კანონად იქცევა ამა თუ იმ საგნის შესახებ არსებული უმნიშვნელოვანესი და არსებითი, სიღრმისეული ცოდნა და გარკვეულ-გამოკვეთილ სისტემად ყალიბდება.

ამიტომ, ბუნებრივია, ნებისმიერი სახელმძღვანელოს შექმნა მრავალმხრივ განათლებას, პროფესიულ გამოცდილებას, საგნის სიყვარულსა და დახვეწილ გემოვნებას, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამ საპატიო საქმეს აგერ უკვე 30 წელია კეთილსინდისიერად და ერთგულად ემსახურება პროფ. აკ. თოფურია. ამას ადასტურებს მისი წიგნები, რომლებიც მიეძღვნა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხებს V-VII და VIII-X კლასებისათვის. პროფ. აკ. თოფურიას სახელმძღვანელოები იმთავითვე მოიწონა პედაგოგიურმა საზოგადოებამ და სტუდენტობამ და ახლაც კეთილ სამსახურს უწევს მათ.

დროს როგორც იტყვიან, თავისი გააქვს. ადამიანთა აზრები და შეხედულებანი ახალი შინაარსით იტვირთებიან, განახლდებიან და თავიდან იცილებენ დრომოჭმულს, მოძველებულს, თუმც ინარჩუნებენ, რაც კი კეთილი, სასარგებლო და მუდმივად გამოსაყენებელია ძველთაგანვე.

ახალი, მეტად პასუხსაგები და რთული ამოცანები დგას ახლა საერთოდ განათლების, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მუშაკთა წინაშე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდი გარდაქმნების პერიოდში, სასკოლო რეფორმის განხორციელების რთულსა და მეტად საინტერესო პრობლემებით აღსავსე პირობებში.

ზოგიერთი ამ პრობლემისა და მათი გადაწყვეტის საშუალებების, გზების განსახილველად რედაქციაში მოვიწვიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის გამგე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. აკაკი თოფურია. რამდენიმე შეკითხვა მივეცით მას.

# დავხვეწოთ სასწავლო პროგრამები

**— სასკოლო რეფორმის განხორციელებამ გარდუვალად წარმოშვა სასწავლო პროგრამების განახლებისა და გადამუშავების აუცილებლობა.. ეს პირველ რიგში ეხება მშობლიურ ლიტერატურას, რომლის პროგრამის პროექტი გასული წლის ივლისში გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. რას გვეტყოდით ამ საკითხთან დაკავშირებით, როდის არის მოსალოდნელი მისი საბოლოო ვარიანტის დამტკიცება?**

— თქვენი შეკითხვიდან ისე ჩანს, თითქოს გაჭიანურდა კიდეც, მოლოდინს გადასცილდა.

**— წელიწადზე მეტი დრო გავიდა. საკმარისი არ იყო?**

— რუსული ლიტერატურის პროგრამების პროექტი სამჯერ შეიცვალა და ჯერაც არ არის საბოლოოდ მიღებული და დამტკიცებული.

**— რა უშლის ხელს, თქვენი აზრით?**

— მიზეზის არსში რომ ჩავწვდეთ, საჭიროა გავიხსენოთ არც ისე შორეული წარსული. ოციანი წლები სწავლა-აღზრდის ძველი სისტემის შეცვლის, ახალ მსოფლმხედველობრივ საწყისებზე დაფუძნებული ერთიანი სკოლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფორმების ძიების, დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის წლები იყო და სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ იმ დროისათვის დამახასიათებელი სწრაფი „გარდატეხები". მომდევნო 30-40-იან წლებში, თითქმის მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, სტაბილურობის ისეთი ხანა დადგა, როცა საბჭოთა სკოლა ჩვენი სახელმწიფოს ნამდვილ ბურჯად იქცა, სწორ პედაგოგიურ და იდეოლოგიურ პრინციპებზე დამყარებულმა სწავლა-აღზრდის სისტემამ გაამართლა საზოგადოების, ხალხის იმედები.

50-იანი წლებიდან დაიწყო მისი დამაფიქრებელი ხშირი ცვალებადობა. 1958 წლის რეფორმით ათწლიანი სკოლის მყარი სისტემა დაირღვა და გადაკეთდა თერთმეტწლიანად, 1966 წლიდან თერთმეტწლიანი ისევ ათწლიანად, ხოლო უკანასკნელად, როგორც მოგეხსენებათ, კვლავ თერთმეტწლიანი გახდა. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს თეზისებში პირდაპირ იყო მინიშნებული ბოლო რეფორმის ნაჩქარევად დაწყების სავალალო შედეგებსა და 1933 წელს შემუშავებული სასკოლო წესდების ზოგიერთი მუხლის აღდგენის საჭიროებაზე.

ამას იმიტომ შეგახსენებთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვიწამოთ საუკუნეების განმავლობაში გამობრძმედილი უბრალო და მარტივი ჭეშმარიტება: ადამიანის, მით უფრო მოზარდის, სულის მართვა არ ემორჩილება ღილაკზე თითის დაჭერას. სწავლა-აღზრდის ურთულესი პროცესი ტრადიციების და ნოვატორული იდეების ერთმანეთთან ორგანული შერწყმის მუდმივად განვითარებადი პროცესია და იგი ნაკლებად ექვემდებარება ტექნიკურ ავტომატიზირებას. ასე ითქმის სასწავლო პროგრამებზეც. მათი ხშირი მექანიკური გადაკეთების მავნე პრაქტიკამ გარკვეული ჩიხი შექმნა. სკკპ 27-ე ყრილობის, მიმდინარე წლის იანვრის და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებების საფუძველზე პროგრამებში უნდა აისახოს ლიტერატურის განსაკუთრებული როლი მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში. დროის აქტუალურ მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამებში ყოველი ცვლილება სერიოზულ, ღრმა დაკვირვებას და კოლექტიური აზრის მობილიზებას მოითხოვს.

**— და მაინც, რა მდგომარეობაა ამჟამად?**

— პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნილი კომისიის მიერ მომზადებულმა პროექტმა უკვე გაიარა საყოველთაო, ე. წ. „საჯარო" განხილვის ეტაპი. პრესაში გამოქვეყნებული მასალების, სათანადო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირების მიერ მიწოდებული შენიშვნების საფუძველზე ამავე კომისიამ (ხელმძღვანელი პროფ. მ. თაბორიძე) გულმოდგინე მუშაობით ამ ცოტა ხნის წინათ დაამთავრა V-XI კლასების ქართული ლიტერატურის ახალი პროგრამების პროექტის დახვეწა-გასწორება. სამინისტროსთან არსებულმა ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ თავისი შემადგენლობიდან გამოყო სამი კომპეტენტური წევრი პროექტის გულდასმით შესწავლის მიზნით. საბჭოს ამ წევრთა მოსაზრებების გასაცნობად და გასათვალისწინებლად, დემოკრატიზაციის წესების სრული დაცვით, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომისიას უკან დაუბრუნდა შესწორებული ვარიანტი, რათა ყოველმხრივ მომზადდეს იგი საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განსახილველად.

**— როდის ფიქრობთ მის განხილვას?**

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, პირადად მინისტრი, პროფ. ნ. ვასაძე დიდი ყურადღებით ეკიდება ქართული ლიტერატურის პროგრამების გადამუშავების პროცესს და ყველა პირობას ქმნის საქმის რაც შეიძლება წარმატებით დასრულებისათვის. ამიტომ განზრახული გვაქვს გამოვიყენოთ საჯაროობის კიდევ ერთი უკანასკნელი შესაძლებლობა.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— ოქტომბრის დამლევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებულ კათედრასთან არსებულ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საქალაქო მუდმივ მოქმედ სემინარზე მოეწყობა თავისუფალი დისკუსია-დიალოგი პროგრამის შედგენის ძირითად პრინციპულ საკითხებზე, რაც უშუალოდ დაუკავშირდება და მიეძღვნება დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილეს. ამ ღონისძიების ჩატარების შემდეგ დაინიშნება საბჭოს სხდომა. საბჭოს რეკომენდაცია საფუძვლად დაედება სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებას ქართული ლიტერატურის ახალი პროგრამების დამტკიცების შესახებ. ვფიქრობთ, რომ ყველა ეს სამუშაო დამთავრდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

**— მკითხველთა სახელით მადლობას მოგახსენებთ საინტერესო ცნობების მოწოდებისათვის. მაგრამ მთავარი მაინც, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, თვით ლიტერატურის სწავლებაა. ხომ არ გაუზიარებდით ჩვენს მკითხველებს თქვენს ზოგიერთ მოსაზრებას ამ საკითხზე?**

— ახალი პროგრამების დამტკიცების შემდეგ, გარდაქმნის სულისკვეთებით, საჭირო და აუცილებელი იქნება ერთგვარი გზის მიმცემი, საორიენტაციო, ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის წერილის გამოქვეყნება ქართული ლიტერატურის მასწავლებლებისათვის. ბევრი რამ შემოგვრჩა პარადულობისა და ზარზეიმის სამოსელში გახვეული, მანკიერების მსგავსი. ასეთ და მთელ რიგ სხვა მტკივნეულ საკითხებზე საბჭო შეეცდება გამოვიდეს თქვენი გაზეთის ფურცლებზე, თუ რედაქციის მხარდაჭერა იქნება.

**— ჩვენ ყოველთვის მივესალმებით თქვენს აქტიურ თანამშრომლობას ჩვენს გაზეთთან. გისურვებთ წარმატებებს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაში.**

თლეშის საიდუმლოება ამ 40 წინ იქნა ამოცნობილი...

27 წლის დეკემბრის ბოლოს ისში მოვიდა ცნობა, რომ

ვგის მთის ციცაბო კლდეებ- ეუმჩნევიათ კარი, ზედ დაკი- ული ჯაჭვით. რესპუბლიკის რობის დახმარებით ბეთლე- საიდუმლოების საბო- ად გარკვევისათვის დაუ- ნებლივ განხორციელდა სა- ღონისძიებანი. სსრ კა- რის სპორტის დამსახუ-

# ᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ

# Ნ Დ Ა

ული ოსტატის, მთამსვლელი ის-ალექსანდრა ჯაფარიძის ხე- ლძღვანელობით შედგა ჯგუფი, ელიც, მიუხედავად ზამთრის ული პირობებისა, 6 იანვარს გა- ებისას მყინვარწვერისაკენ და- . გზა ნაპრალებით დასერილ, ლ-ყინულიან ფერდობებზე ოდა. მამაცმა ადამიანებმა და- ეს ყველა სიძნელე და მეორე ს მიაღწიეს სასურველ მიზანს. ი და განცდილი ლეგენდებ- მთამბეჭდავი და საინტერესო დგა — სინამდვილე ზუსტად აბამებოდა ი. ჭავჭავაძის პო- ულ სურათს.

ინვარწვერის სამხრეთ-აღმო- ეთით, კლდოვანი ქედის ფე- ზე, ზღვის დონიდან 4100 მ. ლეზე მიაკვლიეს კლდეზე კიდებულ ჯაჭვს. მოახერხეს ოყვნენ სენაკში, რომლის გამოკვეთილია თითქმის 400 ს სიმაღლის შვეულ, მართ- „ფრიალოსაებრ ჩამოთლილ“ ეზე.

ციალისტების დასკვნით სე- აღმოჩენილი ნივთებიდან ი დროშის თავი მიეკუთვ- XI-XIII საუკუნეს, შანდ- რინჯაოს ძირი უფრო ძვე- — VII-VIII საუკუნისა. მო- შორის უძველესი გამოდგა უკუნის ქართული ფული, ი კი —ერეკლე მეორისა ს.).

ღმოჩენიდან ათი წლის შემ- ჭავჭავაძის დაბადების 120-ე ავზე ქართველ მწერალთა ჯგუფმა ლევან გოთუას ხე- ანელობით მოიარა პოემა გილის“ გმირთა ადგილ-სა-

ნასკნელ წლებში ახალგაზრ- დაინტერესდნენ ამ ადგი- . უნივერსიტეტის ახალგა- მეცნიერთა საბჭოს ექსპედი- 1978 და 1980 წლებში მის მიდამოებში მიაკვლიეს სტრო კომპლექსის ნანგრე- სადაც 10 ნაგებობის ნაშთი ეხს და შეისწავლეს.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.



ᲘᲚᲘᲐ ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის დიდი მონდომებით ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. ამ დღეებში თბილისის 46-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ფ. ჯავახიას ხელმძღვანელობით ეწვივნენ საგურამოს, დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გურამ შარაძე მოსწავლეებს შთამბეჭდავად ესაუბრა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მოუთხრო მათ საინტერესო ეპიზოდები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მოსწავლეები ილიას სახლ-მუზეუმში.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

## საუბრის თემა — ბოროდინო

ამ დღეებში დიდი ზეიმით აღინიშნა ღირსშესანიშნავი თარიღი — ბოროდინოს ბრძოლის 175 წლისთავი.

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის (დირექტორი, სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი გრიგოლ კობახიძე) პედაგოგები ბავშვებს შთამბეჭდავად ესაუბრნენ ბოროდინოს გმირზე — პეტრე ბაგრატიონზე, სხვა მამაც ქართველებზე, რომლებიც რუს მეომრებთან ერთად ვაჟკაცურად ებრძოდნენ მტერს, ნახეს და გაარჩიეს მხატვრული ფილმი „ბაგრატიონი“, ცოცხალი ყვავილებით შეამკეს პეტრე ბაგრატიონის ძეგლი.

ბევრ სკოლაში ლიტერატურული წრის წევრებმა განიხილეს ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, წარმოადგინეს სცენები. 1-ლი, 62-ე, მე-15, 36-ე, 129-ე, 155-ე და სხვა საშუალო სკოლების პედაგოგებმა გაკვეთილის მასალას მოხერხებულად დაუკავშირეს ბოროდინოს გმირული ბრძოლის თემა.

ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ...

# „ᲛᲔ“ ᲗᲣ „ᲩᲕᲔᲜ“?

ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ერთი გადავლებითაც კი შეიმჩნევა, რომ ჩვენს პრესაში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, კრიტიკულ წერილებსა და მეცნიერულ გამოკვლევებში ბევრი ავტორი პირველი პირით ლაპარაკისას მე-ს ნაცვლად **ჩვენ** ნაცვალსახელს ხმარობს: ჩვენ გვგონია, ჩვენი აზრით, ჩვენ განვიზრახეთ, ჩვენს მიერ აღმოჩენილი... აგრეთვე: მკითხველს ვთავაზობთ, აქვე უნდა შევნიშნოთ, უნდა ვაღიაროთ და მისთ.

საკუთარი თავის **ჩვენობით** წარმოდგენა ძველად მეფეებს, მთავრებს, დიდებულებს ახასიათებდათ და მათი განსაკუთრებული წარმოშობის, მაღალი მდგომარეობის, უპირატესობის ნიშანი იყო. ამის საილუსტრაციოდ კახეთის მეფე ალექსანდრე პირველის სიგელიდან (1503 წ.) ერთ ნაწყვეტს დავიმოწმებ: „დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ნესტანდარეჯან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ანნა ესე გასათავებელი წიგნი მოგახსენეთ...“ სიგელის ზვიად ტონს კომენტარი არ სჭირდება.

იქნებ ავტორები, რომლებიც საკუთარ თავს **ჩვენობით** წარმოგვიდგენენ, შიშობენ — მე მგონია, მე ვფიქრობ, ჩემი აზრით, ჩემი რწმენით — გამოთქმები რომ ვიხმაროთ, მედიდურობასა და პრეტენზიულობას დაგვწამებენო?

ვითომ საფუძვლიანია ეს შიში? თვალი გადავავლოთ ქვემოთ მოტანილ მაგალითებს: „მე არ შემიძლია შევჩერდე აქ მეორე უთანხმოებაზე... მე ...

შუქება (ავლ. ზურაბაშვილი). „ამ ამბავს იმიტომ ვიხსენებ, რომ ორგვარი ჭეშმარიტების თვალსაზრისი... მთელი კულტურული ცხოვრების იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა“ (რ. თვარაძე).

მაგრამ აი, საპირისპირო მაგალითები: „ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მხოლოდ რამდენიმე კორექტივს (ალ. კალანდაძე) „ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ...“ (ივ. იმნაიშვილი). „ამრიგად, ჩვენს მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი“ (ირ. ხოფერია). „მათ კრიტიკულ განხილვას ჩვენ ცალკე თავი არ მივუძღვენით“ (თ. პაპუაშვილი)

„ჩვენ ვცდილობდით დაგვესვა და გადაგვეწყვიტა საკითხები...“ (ა. ჭილაია).

„ასეთი მასალა ხშირად არის მოხმობილი საილუსტრაციოდ და საკომენტაროდ (განსაკუთრებით მეორე წიგნში, რომელსაც ამჟამად ვამზადებთ)“ (ალ. ჭინჭარაული).

როცა მსგავს ნაწერებს კითხულობ, უნებლიეთ ფიქრობ, ავტორი **ჩვენ** ნაცვალსახელს იმ მიზნით ხმარობს, რათა გვაგრძნობინოს — მარტო არა ვარ, ჩემს უკან სხვებიც დგანანო, — და, თუ გაჭირდა, უკანდახევისას უმოკავშიროდ არ იგრძნოს თავი.

ეს უკვე მტკიცე პოზიცია აღარაა...

ცხადია, ნათქვამი იმას როდი ნიშნავს, ვინმე **ჩვენ** ნაცვალსახელის აკრძალვას ქადაგებდეს. ეს ნაცვალსახელი აუცილებელია, თუ ადამიანთა ჯგუფის ან მთელი საზოგადოების სახელით ლაპარა...

